

## სუმო

### სილამაზისა და სიძლიერის ტრადიციული ცერემონია



ორთაბრძოლის დაწყებამდე  
(ფოტო AFLO-სგან)

#### შესავალი

სუმო, როგორც ორთაბრძოლის ერთერთი სახეობა, არის იაპონიის ეროვნული სპორტი. მეტოქეების ფერადი *მავაშისა* (მუცლის ქამარი) და განსაკუთრებული თმის ვარცხნილობის *ოიჩოს* (გინკგო-ფოთლის ნასკვი) სტილი უძველესი დროის იაპონურ იერს მოგვაგონებს. სუმო ტრადიციული ელემენტების ერთგული მიმდევარია, მაგალითად *დოჰიოს* (ჩალის ამალღებული სცენა) განლაგების წესები შერწყმულია შინტოს რელიგიურ ცერემონიასთან. სიტყვა *სუმო* იწერება ჩინური იეროგლიფებით და „ურთიერთცემას“ ნიშნავს.

სუმოს ისტორია უძველესი დროიდან იღებს სათავეს, იგი ოფიციალურ სპორტის სახეობად აღიარეს ადრეულ ედოს პერიოდში (1600-1868 წწ.). დღეს იაპონელ მამაკაცთა უმრავლესობა სპორტის ამ სახეობას მისდევს უმაღლესი სკოლების კლუბებსა თუ უნივერსიტეტებში, ასევე არსებობს *სუმოს* მოყვარულთა ასოციაცია. იაპონიასა თუ საზღვარგარეთის ქვეყნებში *სუმო* ცნობილია, როგორც პროფესიული სანახაობრივი სპორტი.

## შეჯიბრის მიზანი



*იოკოჰამას რინგი* - ცერემონიის დასაწყისი  
*იოკოჰამას* თან ახლავს ტაჩიმოჩი (ხმლის მატარებელი ადამიანი) მარჯვნიდან და ცუიუჰარაი (გამცილებელი) მარცხნიდან (ფოტო Kishimoto-სგან)

გრძელდება, თუმცა ზოგიერთი ორთაბრძოლა შესაძლებელია რამდენიმე წუთით გაგრძელდეს და ხანდახან საჭიროა მოკლე *მიძიური* (შესვენება), რათა მეტოქეებს მიეცეთ დასვენების საშუალება ორთაბრძოლის დასასრულებლად.

*სუმოს* მოგების მეთოდი, რომელიც დაახლოებით 70 სახეობას ითვლის, ასევე ითვალისწინებს მეტოქის საჭიდაო მოედნიდან გაყვანას და გადაგდებას, ქამარზე ჩაჭიდებას მეტოქის დაბლა დასანარცხებლად, ფეხის გამოდებას, სწრაფი მოძრაობით განზე გახტომას (მეტოქის თავდასხმის მოგერიების მიზნით) და მით მეტოქის წონასწორობის დარღვევას, საჭიდაო ჩალის მოედანზე მოჭიდებას მეტოქის მოსაგერიებლად და წრიდან გადასასროლად.

*სუმო* განსაკუთრებით მოსწონთ მისი ღირსებებისა და თვითკონტროლს გამო. არ ყოფილა მსაჯებთან კამათისა და არასპორტული ქცევის შემთხვევა. თუ გაშლილი ხელის დარტყმა სხეულის ზედა ნაწილში დაშვებულია, მუშტის დარტყმა, თმების მოქაჩვა აკრძალულად ითვლება.

ზოგიერთ შერკინებათა შედეგები იმდენად ერთნაირია, რომ მსაჯის გადაწყვეტილება შესაძლებელია გადაიხედოს ან ზოგჯერ შესაძლებელია შეიცვალოს კიდეც, ისევე მსაჯთა მიერ; არც მოგებული და არც წაგებული პროტესტს არ გამოხატავს, არამედ უფრო გამოხატავს ემოციას, ვიდრე ცალკეული შემთხვევით გამოწვეულ ღიმილს ან მოლუშვას.

## დანაყოფი და თანრიგი

ფალავნები პროფესიულ *სუმოში* დანიშნულნი არიან დანაყოფებისა და თანრიგისდა მიხედვით. შესაბამისად, ისინი მოიაზრებიან, როგორც აღმოსავლეთის ან დასავლეთ მხარის წევრი, ზუსტად ეს უკანასკნელი განსაზღვრავს, თუ რომელი გასახდელი ოთახია განკუთვნილი ამა თუ იმ ფალავნისთვის და რინგის რომელ ნაწილში იასპერეზებენ ყოველდღიურად. სიდიდის

მიხედვით, ჩემპიონთა ტიტულები ასე შეგვიძლია განვალაგოთ: *იოკოდუნა* (დიდი ჩემპიონი), *ოდეკი* (ჩემპიონი) და *სეკივაკე* (უმცროსი ჩემპიონი).

*იოკოდუნა* *სუმოს* უცვლელი თანრიგია. ამ რანგის მქონე მოჭიდავე აღარ ქვეითდება. თუკი *იოკოდუნა* ვეღარ აკმაყოფილებს ამ რანგის მოთხოვნებს, ის უბრალოდ ტოვებს პოსტს. რამდენიმე საუკუნის წინ, ტიტულების რანგირების შემოტანის პერიოდიდან, მხოლოდ 70 სპორტსმენს მიენიჭა დამსახურებული *იოკოდუნა*ს წოდება. თანამედროვე უდიდესი ჩემპიონები იყვნენ ფუტაბაიამა (*იოკოდუნა*, 1937-1945), რომელსაც 866 მოგება, მათ შორის 69 წაუგებელი რაუნდი ჰქონდა; ტაიკო (1961-1971), რომელმაც ჯამში მოიგო 32 შეჯიბრი და 45 თამაში ერთიმეორეს მიყოლებით; კიტანოუმი (1974-1985), რომელიც 21 წლის და 2 თვის ასაკში ყველაზე ახალგაზრდა *იოკოდუნად* დასახელდა; აკებონო (1933-2011), რომელიც *იოკოდუნა* 30 ტურნირის მოგების შემდეგ გახდა და ბოლოს, ტაკანოჰანა (1995-2003), რომელმაც 19 წლის ასაკში ყველაზე ახალგაზრდამ მოიგო შეჯიბრი. პროფესიონალურ *სუმოს* არ აქვს წონითი კატეგორიები, ამიტომ ხშირად ჯანლონით სავსე ფალავანი ერკინება პატარა ტანის მეტოქეს. დიდი წონა ძირითადად განსაზღვრავს სპორტსმენის წარმატებას, მაგრამ, რა თქმა უნდა, აუცილებელია სისხარტე, მოქნილობა და ბალანსიც, რაც ზრდის მოგების შანსს. ხშირად ხდება, რომ ტანით მომცრო და სხარტი მოჭიდავეები სძლევენ ძლიერ მეტოქეს.

### ***სუმოს* მოჭიდავის ცხოვრება**

ძირითადად, *სუმოს* მასწავლებლის, *ოიაკატა*-ს (მუდმივი მასწავლებელი) მოწაფეების უმეტესობა სოფლებიდან ჩამოსული საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან. თუ ბიჭის ოჯახი თანახმაა, *ოიაკატა*, რომელიც ყოფილი მოჭიდავეა, დაახლოებით 50 *ჰეიას* (საცხოვრებელი) მართავს და 5-დან 30-მდე მოჭიდავეს ზედამხედველობს, მზადაა აიყვანოს მათი შვილები მოწაფეებად. ახალგაზრდები ვარჯიშობენ, იკვებებიან და იძინებენ საერთო საცხოვრებლებში და იღებენ მცირე გასამრჯელოს. რეგულარულ ტურნირებზე ერთმანეთს არ ეჯიბრებიან ერთი და იგივე საცხოვრებლის წევრები.

*სუმოს* ცხოვრების წესი მოწაფეების მიმართ მკაცრად მომთხოვნია და ახალგაზრდები 5 წლის განმავლობაში თავდაუზოგავად ვარჯიშობენ მაღალი რანგის და *სეკიტორის* (პროფესიონალი) წოდების ანუ ხელფასიანი მოჭიდავის სტატუსის მოსაპოვებლად. დაახლოებით 700 მოჭიდავიდან, რომელიც ცხოვრობს ამგვარ საცხოვრებელში, მხოლოდ 70 იღებს *სეკიტორის* სტატუსს. უმაღლეს დივიზიონში მოხვედრილი სპორტსმენების მცირე რაოდენობა ქორწინდება და ცხოვრობს საერთო საცხოვრებლის გარეთ, მაგრამ ასეთი საცხოვრებლები ახალგაზრდა მოჭიდავეების ერთადერთი სახლია *სუმოს* კარიერის განმავლობაში. ბევრი მძლეოსანი იძულებულია დატოვოს საერთო საცხოვრებელი 30 წლამდე, ავადმყოფობისა თუ სხვა ფიზიკური ტრამვის გამო.

*სუმოს* უმეტესი საცხოვრებლები მდებარეობს ტოკიოს აღმოსავლეთ ნაწილში. დაბალი რანგის სპორტსმენები საკმაოდ მკაცრ პირობებში ცხოვრობენ. იღვიძებენ დილის 4 ან 5 საათზე, იმოსებიან *მავაშით* და იწყებენ *კეიკოს* (ვარჯიშს). ისინი ვალდებულები არიან მოემსახურონ მაღალი კლასის მოჭიდავეებს, რომელთაც გვიან გაღვიძების უფლება აქვთ.



კეიკო შედგება სამი ტრადიციული ვარჯიშისაგან: შიკო, ტეპო და მატავარი. შიკოს ვარჯიშისას მოჭიდავე შეძლებისდაგვარად მაღლა სწევს ფეხს. ტეპოს ვარჯიშისას მოჭიდავე გაშლილი ხელით განუწყვეტლივ სცემს ხის ბომს. მატავარის დროს მოჭიდავე იბუქნება მაქსიმალურად გაშლილი ფეხებით.

ყოველდღიური კეიკო დაახლოებით შუადღემდე გრძელდება, რომლის შემდეგაც მოჭიდავეები მიირთმევენ წვნიანს, რომელსაც ჩანკო-ნაბე ეწოდება (მაღალკალორიული წვნიანი, შედგება მრავალი სახის ხორცეულისა და ბოსტნეულისგან), გარნირით, მწნილით და რამდენიმე დიდ თევზ ბრინჯს, რომელსაც ხშირად 2 ბოთლ ლუდსაც აყოლებენ. მოჭიდავეებს შესანიშნავი მადა აქვთ. საკვების მიღების შემდეგ, მომდევნო რამდენიმე საათი სპორტსმენები ისვენებენ. დიდი რაოდენობით საკვების მიღება იწვევს წონის მომატებას. ფიზიკური ვარჯიშების, დიეტის და ძილის რეჟიმის შედეგად ზოგიერთი სპორტსმენი 150 კილოზე მეტ წონას აგროვებს, ხოლო ზოგიერთი 200 კილომდე აღწევს.

## სატურნირო შეჯიბრი



იოკუძუნას რინგზე გასვლის ცერემონია იოკუძუნა ჰაკუჰო ასრულებს იასუკუნის ტამარში მდებარე რინგზე ასვლის ცერემონიას (ფოტო Kishimoto-სგან)

ყოველწლიურად იაპონიის სუმოს ასოციაციის სანქციით ექვსი თხუთმეტდღიანი სუმოს ტურნირი ტარდება: ამათგან სამი ტოკიოში (იანვარი, მაისი და სექტემბერი) და სამი ოსაკაში, ნაგოიასა და ფუკოუკაში (მარტი, ივლისი და ნოემბერი). დიდ ტურნირებს შორის მოჭიდავეები მოგზაურობენ სოფლებში და მონაწილეობენ ადგილობრივ შეჯიბრებებში, რომელიც ამ სპორტისადმი ინტერესის გაზრდისა და ახალი სპორტსმენების მოზიდვის თვალსაზრისით ტარდება.

პირველი ოფიციალური სუმოს არენა, კოკუგაკანი 1909 წელს აშენდა ტოკიოს რიოგოკუს რაიონში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კოკუგაკანი გადაიტანეს კურამაეში,

სადაც მომდევნო 4 დეკადის განმავლობაში დარჩა. 1985 წელს აშენდა 11000-ადგილიანი ახალი არენა ისევ რიოგოკუს რაიონში, სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ტელევიზიები სუმოს ორთაბრძოლებს მთელი ქვეყნის მასშტაბით გადასცემენ, რომელიც დაახლოებით საღამოს 4 საათზე იწყება და 6 საათამდე გრძელდება, ხოლო სუმოს დაბალი რანგის მოჭიდავეთა მატჩები უფრო ადრე იმართება.

ტურნირების დროს, მაღალი რანგის მოჭიდავეებს მაკუნოუჩის და ჯურის დივიზიონებში შეჯიბრი 15 დღის განმავლობაში დღეში ერთხელ აქვთ; ხოლო დაბალი რანგის მაკუშიტას, სანდანმეს, ჯონიდანის და ჯონოკუჩის დივიზიონებში 15 დღის განმავლობაში შეჯიბრი 7-ჯერ აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ ასპარეზობათა მიზანია, რაც შეიძლება მეტი მატჩის

მოგება, ტურნირებში შეჯიბრებების უმეტესობის მოგება (8 მოგება 15 მატჩში ან 4 მოგება 7 შეჯიბრიდან) საკმარისია არსებული რანგის შენარჩუნების ან უფრო მაღალი რანგის მისაღწევად. ტურნირში გამარჯვებული გამოდის *მაკუნოუჩი*, ანუ ის მოჭიდავე, რომელსაც ყველაზე მეტი მოგება აქვს და რისი განსაზღვრაც ბოლო დღეს შესარჩევ მატჩებში ხდება.

### პატივი და ჯილდოები

*მაკუნოუჩის* დივიზიონის თამაშის დაწყებამდე დამსწრეებს შეუძლიათ იხილონ ბანერები, რომლებზეც იმ კორპორაციების სახელებია გამოსახული, ვინც ფულადი ჯილდო დააწესა ტურნირისთვის. რაც უფრო დიდია ჯილდო, მით უფრო დიდი პრიზი გადაეცემა მოგებულს მსაჯის მიერ. რინგის კუთხეში მდგარი გამარჯვებული პრიზის გადაცემის დროს ასრულებს *ტეგატანას* (სიტყვასიტყვით ხელის ხმალი) რიტუალს მაღლიერების გამოსახატავად.

ტურნირის გამარჯვებული იღებს ფულად ჯილდოს, თასსა და სხვადასხვა პრიზებს, მათ შორის ბრინჯი, საკე (ბრინჯის არაყი) და ა. შ. *ოდეკიზე* უფრო დაბალი რანგის მქონე მოჭიდავეები ტურნირზე გამარჯვების შემთხვევაში შესაძლოა გახდნენ სამი სპეციალური ნომინაციის პრიზიორები: განსაკუთრებული შესრულებისთვის, ტექნიკისთვის და საბრძოლო შემართებისთვის, რომელსაც ბონუსის სახით ახლავს შესაბამისი ფულადი ჯილდოები.

მოჭიდავეების კიდევ ერთი სტიმულია *კიმბოში* (ოქროს ვარსკვლავი), რომელიც გადაეცემათ დაბალი რანგის წარმატებულ მოჭიდავეებს, რომლებიც ძლევენ *იოკოძუნას*. თითოეული მომდევნო *კიმბოში* მოჭიდავეს ემატება ხელფასი მთელი მისი აქტიური კარიერის განმავლობაში.

### საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა



ვარჯიში *სუმოს* სკოლაში  
(ფოტო Photo Kishimoto-სგან)

*სუმო* მეტად პოპულარული გახდა იმპერატორი შიოვას მმართველობის ბოლო პერიოდში, რომელიც ამ სპორტის გულშემმატკივარი იყო. 1955 წლის მაისში, ტურნირის დასაწყისიდან, იმპერატორმა შემოიტანა ტოკიოს ტურნირზე ერთი დღით დასწრების ტრადიცია, სადაც შეჯიბრს განსაკუთრებული სტუმრების ადგილიდან აკვირდებოდა. ეს ტრადიცია საიმპერატორო კარის სხვა წარმომადგენლებმაც განაგრძეს. გადმოცემის მიხედვით, *სუმოს* გულშემმატკივარი იყო ოთხი წლის პრინცესა აიკო, რომელიც პირველად *სუმოს* ტურნირს 2006 წელს დაესწრო მშობლებთან პრინც ნარუჰიტო და პრინცესა მასაკოსთან ერთად.

ძალიან ხშირად დიპლომატებსა და უცხოელ სტუმრებს იწვევენ *სუმოს* ტურნირებზე.

საზღვარგარეთ მცხოვრები იაპონური სათვისტომოს მეშვეობით, *სუმომ* აღიარება მოიპოვა ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. სულ რამდენიმე ათწლეულის წინ *სუმოთი* დაინტერესდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. 1960-იანი წლებიდან, ახალგაზრდა მოჭიდავეები ამერიკიდან, კანადიდან, ჩინეთიდან, სამხრეთ კორეიდან, მონღოლეთიდან, არგენტინიდან, ბრაზილიიდან, ტონგადან, რუსეთიდან, საქართველოდან, ბულგარეთიდან, ესტონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩავიდნენ იაპონიაში ამ სპორტის სახეობაში სავარჯიშოდ და რამდენიმე მათგანი - ენობრივი და კულტურული ბარიერის გადალახვის შემდეგ - საკმაოდ წარმატებულად გახდა. 1993 წელს აკებონმა, ამერიკელმა ჰავაის შტატიდან, მიიღო უმაღლესი *იოკოდუნას* რანგი. ბოლო წლებში მონღოლი მოჭიდავეებიც აქტიურობენ *სუმოში*, რომელთა შორის ყველაზე წარმატებული იყო ასასორიუ და ჰაკუჰო. ასასორიუმ მიაღწია *იოკოდუნას* რანგს 2003 წელს, ხოლო ჰაკუჰომ - 2007 წელს. ისინი მოწინავე *სუმოისტები* გახდნენ და უამრავი ტურნირი მოიგეს. ასასორიუმ *სუმო* დატოვა 2010 წელს. სხვა ქვეყნის მოჭიდავეებიც ასევე დაწინაურდნენ რანგით, მათ შორის იყო ბულგარელი კოტოშიუ და ესტონელი ბარუტო, რომლებიც *ოდეკის* რანგამდე დაწინაურდნენ 2005 და 2010 წლებში. *სუმოს* ფართოდ გავრცელების შედეგად საჩვენებელი ტურნირები ტარდება ავსტრალიაში, ევროპაში, შეერთებულ შტატებში, ჩინეთში, სამხრეთ კორეასა და სხვა ქვეყნებში, რაც ამ სპორტს უფრო წარმატებულს ხდის.